საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური სახდელის - გაფრთხილების დაკისრების თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მარიკა არევაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარინე ცუცქირიძე - კოლეგიის წევრი

ინგა ნებიერიძე- კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ნატო სლეპაკოვა

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 09.12.2022

საჩივრის რეგისტრაციის № 106/22

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ანდრონიკ სარიბეკოვის მიმართ /სიითი №0611/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ანდრონიკ სარიბეკოვისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2022 წლის 09 დეკემბერს საჩივრით მომართა ნატო სლეპაკოვამ და მოითხოვა ადვოკატ ანდრონიკ სარიბეკოვისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება; ჰონორარის ნაწილის დაბრუნება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, მასსა და ადვოკატ ანდრონიკ სარიბეკოვს შორის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება გაფორმდა 2020 წლის 18 ივნისს. ადვოკატს უნდა დაეცვა მისი ინტერესები შსს-სა და პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეში, სადაც

ჰქონდა დაზარალებულის სტატუსი. საადვოკატო მომსახურების სახით ადვოკატს გადასცა ჰონორარი 2300 ლარის ოდენობით.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მის საქმეზე განახორციელა შემდეგი მოქმედებები: რამდენჯემდე დაესწრო დაკითხვას, ესაუბრა დაცვის მხარის ადვოკატს და საქმესთან დაკავშირებით სატელეფონო კონსულტაციებს უწევდა. თუმცა ადვოკატი სისტემატურად არ ეცნობოდა საქმის მიმდინარეობას, არ ითხოვდა მასალებს, ადვოკატს არ გაურკვევია, რომელი მტკიცებულებები ცნო სასამართლომ დასაშვებად. ასევე, ადვოკატმა ბრალდების მხარეს არ მოსთხოვა საქმესთან დაკავშირებით კონკრეტული მტკიცებულების მოპოვება. ადვოკატის უმოქმედობის შედეგად, საქმე გადაკვალიფიცირდა - ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებიდან ცემის კატეგორიაში.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, მათი ურთიერთობა დასრულდა მას შემდეგ, რაც ადვოკატმა ანდრონიკ სარიბეკოვმა უარი განუცხადა არსებითი განხილვის სასამართლოს სხდომაზე დასწრებაზე იმ მიზეზით, თითქოს ხელშეკრულებიდან გამომდინარე მას ამის უფლება არ ჰქონდა. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ 2022 წლის 20 მაისს სატელეფონო შეტყობინების მეშვეობით ადვოკატს აცნობა, რომ მის მომსახურებაზე უარს აცხადებდა და მოსთხოვა გადახდილი თანხის ნაწილის დაბრუნება, რაზეც ადვოკატმა უარი განუცხადა.

1.5 2023 წლის 17 მაისს განხილვის კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ მას ადვოკატმა 17 მაისს ჩაურიცხა 100 ლარი, რომელიც მან ადვოკატს უკანვე გადაურიცხა, რადგან ის ადვოკატთან არ შეთანხმებულა 100 ლარის დაბრუნებაზე. რადგან ადვოკატმა მას გაუწია შეთანხმებით გათვალისწინებული მომსახურების მხოლოდ ნახევარი, ის ადვოკატისგან ითხოვს მისთვის გადაცემული თანხის ნახევრის დაბრუნებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ანდრონიკ სარიბეკოვმა 2022 წლის 29 დეკემბერს ეთიკის კომისიას წარმოუდგინა წერილობით განმარტება, ასევე 2023 წლის 13 თებერვალს მონაწილეობა მიიღო საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, სადაც მიუთითა, რომ საჩივრის ავტორის პრეტენზიები მის მიმართ არის უსაფუძვლო. საქმეზე მუშაობდა 2 წლის განმავლობაში, კლიენტთან შეათანხმა დაცვის სტრატეგია არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, საგამოძიებო ეტაპზე მონაწილეობა მიიღო არაერთ დაკითხვაში - მტკიცებულების სახით ადვოკატმა წარმოადგინა ნატო სლეპაკოვას გამოკითხვის ოქმები და სამედიცინო დოკუმენტაცია.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ნატო სლეპაკოვამ მას გადასცა საადვოკატო მომსახურების ჰონორარი 2300 ლარის ოდენობით, რომელიც დაიბეგრა საშემოსავლო გადასახადით და მან აღნიშნულ საქმეზე მიიღო 1840 ლარი.

2.3 სასამართლოს სხდომაზე დასწრებასთან დაკავშირებით ადვოკატი განმარტავს, რომ მან კლიენტს აცნობა, რომ ადვოკატი, როგორც მხარე, პროცესს ვერ დაესწრებოდა. ადვოკატის განმარტებით, მისი სამუშაო ითვალისწინებდა მომსახურების გაწევას გამოძიების ეტაპზე. საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში სასამართლო მიუთითა მხოლოდ იმ მიზნით, რომ სასამართლოსგან მიეღო ინფორმაცია. მან კლიენტს თავიდანვე აუხსნა, რომ როგორც მხარე, დაზარალებული იმ ფარგლებში ვერ მიიღებდა პროცესში მონაწილეობას.

2.4 სასამართლოს სხდომაზე დასწრებასთან დაკავშირებით ადვოკატი განმარტავს, რომ მან კლიენტს აცნობა, რომ ადვოკატი, როგორც მხარე, პროცესს ვერ დაესწრებოდა. ადვოკატის განმარტებით, მისი სამუშაო ითვალისწინებდა მომსახურების გაწევას გამოძიების ეტაპზე. საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში სასამართლო მიუთითა მხოლოდ იმ მიზნით, რომ სასამართლოსგან მიეღო ინფორმაცია. მან კლიენტს თავიდანვე აუხსნა, რომ როგორც მხარე, დაზარალებული იმ ფარგლებში ვერ მიიღებდა პროცესში მონაწილეობას.

2.5 ადვოკატი განმარტავს, რომ მან სამუშაო შეასრულა კეთილსინდისიერად და თანახმაა კლიენტს დაუბრუნოს 100 ლარი, თუ კლიენტიც თანახმა იქნება.

2.6 კლიენტთან კომუნიკაციის დასადასტურებლად ადვოკატმა ეთიკის კომისიას წარმოუდგინა სატელეფონო ზარების ამონაწერი, რომლითაც ადასტურებს მის მიერ კლიენტისათვის გაწეული სატელეფონო კონსულტაციების სიხშირეს. ასევე, ადვოკატმა კომისიას წარმოუდგინა ბრალდებულის ადვოკატის განცხადება და ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც დასტურდება, რომ ვიდეო ჩანაწერი იყო მისი კლიენტის - ნატო სლეპაკოვას ინტერესების საწინააღმდეგო. ასევე, ადვოკატი განმარტავს, რომ კლიენტის ინფორმირებულობა საქმის მასალების შესახებ იმით დასტურდება, რომ ისინი ერთად იყვნენ სასამართლოში და გადაიღეს მათთვის საჭირო დოკუმენტაცია.

2.7 ადვოკატმა 2023 წლის 17 მაისის განხილვის კოლეგიის სხდომაზე დასწრებაზე უარი განაცხადა და სხდომის დღეს ეთიკის კომისიას წარმოუდგინა ნატო სლეპაკოვასთვის საადვოკატო მომსახურების საფასურის ნაწილის დაბრუნების დამადასტურებელი დოკუმენტი, გადახდის ქვითარი, რომლითაც დასტურდება კლიენტისთვის 100 ლარის დაბრუნება.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 პირველმა დისციპლინურმა კოლეგიამ 2023 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით აღძრა დისციპლინური დევნა ადვოკატ ანდრონიკ სარიბეკოვის მიმართ.

3.2 საპროცესო კოლეგიამ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დაადგინა, რომ ადვოკატმა ადრონიკ სარიბეკოვმა დაარღვია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტის დროს გამოუმუშავებელი ჰონორარის კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულება - ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლი.

3.3 ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, ვერ დაადგინა ადვოკატ ანდრონიკ სარიბეკოვის მიერ კვალიფიციური მომსახურებისა და კლიენტის ინფორმირების ეთიკური ვალდებულების დარღვევა (ადვოკატთ შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა), 6.2; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები 8.5 და 8.6) და ამ ნაწილში, ადვოკატის მიმართ არ აღიძრა დისციპლინური დევნა.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1 უდავო ფაქტები:

4.1.1 საჩივრის ავტორმა, რომელსაც სისხლის სამართლის საქმეში ჰქონდა მოწმის/დაზარალებულის სტატუსი, ადვოკატ ანდრონიკ სარიბეკოვს საადვოკატო მომსახურების მისაღებად მიმართა 2020 წლის ივნისში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ადვოკატის 202 წლის 18 ივნისის ორდერი;

იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე 2020 წლის 18 ივნისის ხელშეკრულება.

4.1.2 მხარეთა შორის 2020 წლის 18 ივნისს გაფორმებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მიხედვით, შესასრულებელი სამუშაოს ჰონორარად განისაზღვრა - 2300 ლარი, რომელიც ნატო სლეპაკოვამ ადვოკატს ჩაურიცხა 2020 წლის 18 ივნისს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა პოზიციები;

საქართველოს ბანკის მიერ ნატო სლეპაკოვასათვის 2021 წლის 16 ივნისის გაცემული ცნობა.

4.1.3 ადვოკატს კლიენტის - ნატო სლეპაკოვას საქმეზე განხორციელებული აქვს შემდეგი იურიდიული მოქმედებები: გაეცნო საქმის მასალებს, დაესწრო გამოძიების ეტაპზე ნატო სლეპაკოვას გამოკითხვის პროცესებს და მომსახურების პერიოდში, კლიენტს უწევდა უწყვეტ კომუნიკაციას.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

საქმის გამოძიების ეტაპზე ნატო სლეპაკოვას გამოკითხვის 18.06.2020 და 1.07.2020 წლების ოქმები;

სატელეფონო ზარების ამონაწერი.

4.1.4 მხარეთა შორის საადვოკატო ურთიერთობა დასრულდა კლიენტის სურვილით, გამოძიების ეტაპის დასრულების შემდეგ, 2022 წლის 20 მაისს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ზეპირი და წერილობითი პოზიციები;

4.1.5 ადვოკატმა ანდრონიკ სარიბეკოვმა, 2023 წლის 17 მაისს, დისციპლინური საქმეზე ეთიკის კომისიაში სხდომის გამართვის დღეს, ნატო სლეპაკოვას დაუბრუნა ჰონორარის ნაწილი - 100 ლარი, რომელიც მას იმავე დღეს უკან გადაურიცხა ნატო სლეპაკოვამ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

განხილვის კოლეგიის 2023 წლის 17 ივნისის სხდომის ოქმი;

თანხის ჩარიცხვის და თანხის უკან დაბრუნების დამადასტურებელი ქვითრები;

4.2 სადავო ფაქტები:

მხარეთა შორის სადავოა ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების მოცულობა, კერძოდ, თუ რას მოიცავს შეთანხმებით გათვალისწინებული იურიდიული მომსახურების გაწევის ფარგლები.

კლიენტი განმარტავს, რომ ადვოკატს მისთვის, როგორც დაზარალებულისთვის, მომსახურება უნდა გაეწია საგამოძიებო ეტაპზე და პირველი ინსტანციის სასამართლოში. თავის მხრივ, ადვოკატის პოზიციით, მას კლიენტისათვის მომსახურება უნდა გაეწია საგამოძიებო ეტაპზე. საქმეში წარმოდგენილია მხარეთა შორის 2020 წლის 18 ივნისს გაფორმებული წერილობითი

შეთანხმება საადვოკატო მომსახურების თაობაზე და ადვოკატის ორდერი, სადაც მითითებულია, რომ ადვოკატმა ანდრონიკ სარიბეკოვმა ნატო სლეპაკოვას ინტერესები უნდა დაიცვას შს სამინისტროსა და თბილისის საქალაქო სასამართლოში. კოლეგია არ იზიარებს ადვოკატის განმარტებას იმასთან დაკავშირებით, რომ მან წერილობით შეთანხმებაში საქმის პირველი ინსტანციის მითითებისას, თბილისის საქალაქო სასამართლოდან მხოლოდ დოკუმენტების გამოთხოვის შესაძლებლობა იგულისხმა, რადგან მხარეთა შორის გაფორმებულ შეთანხმებაში მსგავსი დათქმა გათვალისწინებული არ არის. მხარეთა განსხვავებული პოზიციებიდან გამომდინარე, კოლეგია ხელმძღვანელობს მათ შორის გაფორმებული წერილობითი დოკუმენტით - ხელშეკრულებით. შესაბამისად, კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატ ანდრონიკ სარიბეკოვს კლიენტის ნატო სლეპაკოვას ინტერესები უნდა დაეცვა შს სამინისტროსა და თბილისის საქალაქო სასამართლოში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა შორის 2020 წლის 18 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების შესახებ;

ადვოკატის 2020 წლის 18 ივნისის ორდერი.

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ანდრონიკ სარიბეკოვის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ანდრონიკ სარიბეკოვის მიერ დარღვეულია კლიენტის საქმეზე გამოუმუშავებელი ჰონორარის კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულება:

კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი ან ფულადი სახსრები, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლი).

6.2 აღნიშნული მუხლის მიზანი და შინაარსი დეტალურად არის განმარტებული როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს, ასევე ეთიკის კომისიის პრაქტიკით. ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ ჰონორარი წარმოადგენს ადვოკატის გასამრჯელოს, რომლის ოდენობას განსაზღვრავს ადვოკატი, კლიენტთან შეთანხმებით, სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში და რომელსაც ადვოკატი გამოიმუშავებს შეთანხმებული მომსახურების შესრულებისას. თუ ადვოკატი წინასწარ იღებს ჰონორარის დანიშნულებით შეთანხმებულ თანხას სრულად ან ნაწილობრივ, მომსახურების გაწევამდე მოცემული ფულადი სახსრები წარმოადგენს კლიენტის ფულად სახსრებს, ავანსს. ადვოკატის პროფესიული ეთიკის დაცვისათვის, ჰონორართან დაკაშირებით, კლიენტთან ურთიერთობის დაწყებისას ადვოკატს აქვს კლიენტის ინფორმირების ვალდებულება მხოლოდ ჰონორარის ოდენობასა და გამოთვლის წესზე, რაც კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტისას მოიცავს ადვოკატის ცოდნას

შესრულებული სამუშაოს მიხედვით, ავანსის წინასწარ მიღებისას, რა ოდენობის თანხა გამოიმუშავა. ადვოკატს აქვს ვალდებულება მომსახურების შეწყვეტიდან გონივრულ დროში მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია გამომუშავებული ჰონორარის ოდენობისა და არსებული ფინანსური საკითხების შესახებ. ადვოკატ-კლიენტს შორის საადვოკატო ურთიერთობის შეწყვეტისას, ადვოკატის უფლებამოსილებაა თავად განსაზღვროს ავანსის რა ნაწილი გამოიმუშავა, რაც უნდა ემყარებოდეს შეთანხმებიდან გამომდინარე გონივრულ დასაბუთებას. ამავე დროს, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის ადვოკატს ავალდებულებს დაიცვას პროპორციულობის პრინციპი გაწეულ საადვოკატო მომსახურებასა და მიღებულ ჰონორარს შორის და გონივრულ დროში დაუბრუნოს კლიენტს ის თანხა, რომელიც მას არ გამოუმუშავებია. ეთიკის კომისიის კომპეტენციაა შეამოწმოს ადვოკატის კეთილსინდისიერება ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის შეუსრულებლოსას. თავის მხრივ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის პრაქტიკით მხარდაჭერილია ეთიკის კომისიის პრაქტიკა - „ადვოკატის პროფესიული ქცევის აღნიშნული სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებს და ადვოკატის ავტორიტეტის დაცვას, გამომდინარეობს ადვოკატის ვალდებულებიდან იმოქმედოს კლიენტის ინტერესებით, თავისი ქცევით პატივისცემას იწვევდეს კლიენტში“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე №დს-შ/17-16).

6.3 ეთიკის კომისია აფასებს შემდეგ გარემოებებს: ადვოკატმა ანდრონიკ სარიბეკოვმა სრულად შეასრულა თუ არა მომსახურება, რაშიც მან ავანსის სახით მიიღო 2300 ლარი; წარმოადგენს თუ არა პროფესიული ვალდებულების ჯეროვან შესრულებას მიღებული თანხის ნაწილის 1 წლის შემდეგ დაბრუნება; არის თუ არა ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორისთვის დაბრუნებული 100 ლარი - შეუსრულებელი სამუშაოს პროპორციული. კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატ ანდრონიკ სარიბეკოვს კლიენტისათვის მომსახურება უნდა გაეწია შს სამინისტროსა და თბილისის საქალაქო სასამართლოში. ნატო სლეპაკოვამ წინსწრებით, ადვოკატ ანდრონიკ სარიბეკოვს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების მიზნით, ჩაურიცხა ჰონორარი 2300 ლარი, თუმცა მხარეებს არ განუსაზღვრიათ თითოეულ ეტაპზე განსახორციელებელი იურიდიული მოქმედებებისათვის ჰონორარის ოდენობა. დგინდება, რომ ადვოკატს სრულად არ გაუწევია საადვოკატო მომსახურება. კერძოდ, ადვოკატ კლიენტის ურთიერთობა შეწყდა საქმის სასამართლოში წარმოების ეტაპზე. შესაბამისად, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტის ამ ეტაპზე, ადვოკატს წარმოეშვა ვალდებულება დაებრუნებინა კლიენტისათვის გამოუმუშავებელი ჰონორარი, რადგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სრულად ვერ შესრულდა იმ ჰონორარის ფარგლებში, რაც მან კლიენტისგან მიიღო. ურთიერთობის დასრულებიდან დაახლოებით 1 წლის შემდეგ, ადვოკატის მიერ განხილვის კოლეგიის სხდომის დღეს, ადვოკატის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლის შესრულება (სრულად თუ ნაწილობრივ) ვერ შეცვლის იმ ფაქტს, რომ ადვოკატმა კლიენტს გონივრულ ვადაში არ დაუბრუნა გამოუმუშავებელი ჰონორარი. გონივრული ვადა შეიძლება იყოს რამდენიმე სამუშაო დღე, ან თუ არსებობს ობიექტური გარემოება (ადვოკატის შვებულება, ავადმყოფობა და ა.შ.), მაშინ ამ ობიექტური გარემოების არსებობით ამ ვადის გაგრძელება. მოცემულ შემთხვევაში, რადგან ადვოკატებმა ცალკე უნდა შეინახონ ავანსის სახით გადაცემული ჯერ კიდევ გამოუმუშავებელი ჰონორარი (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის, მუხლი 8.13), მისი დაუყოვნებლივ დაბრუნების შესაძლებლობაც და ვალდებულებაც არსებობდა.

6.4 კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატ ანდრონიკ სარიბეკოვის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა - კლიენტისათვის გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულება (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15), რის გამოც მას უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

6.5 დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას, ეთიკის კომისიამ იმსჯელა ბრალის ხარისხზე და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის პროპორციულობაზე.

6.6 ადვოკატს, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში შესაძლოა დაეკისროს დისციპლინური სახდელი (გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა) ან/და ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 34).

6.7 „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის ჩადენილი გადაცდომის სიმძიმის და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე №დს-შ/3-15, 01.04.2015).

6.8 „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე №დს-შ/3-17, 22.05.2017).

6.9 ეთიკის კომისიას ადვოკატის მიერ ფიდუციური ვალდებულების დარღვევის დროს გამოუყენებია დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება - კერძო დარეკომენდაციო ბარათი (კერძოდ საქმები: №070/18, 20.09.2019; საქმე №092/18, 24.07.2019 და საქმე №091/20, 25.11.21) და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა - გაფრთხილება (კერძოდ საქმე N034/19, 11.12.2020; საქმე N052/20, 05.11.2020; 109/18, 23.07.2020; 015/18, 01.10.19).

6.10 მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კომისია ითვალისწინებს შემდეგ გარემოებებს: ადვოკატს არ აქვს დაკისრებული გაუქარწყლებელი დისციპლინური სახდელი, მან შეასრულა სამუშაოს მნიშვნელოვანი ნაწილი, ადვოკატმა საჩივრის ავტორს დაუბრუნა ჰონორარის ის ოდენობა - (მიღებული თანხის დაახლოებით 5%), რაც მიიჩნია, რომ მას არ გამოუმუშავებია, რაც ერთი მხრივ, დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრის შემამსუბუქებელი გარემოებაა, თუმცა მეორე მხრივ, თანხის დაბრუნება მან განახორციელა ეთიკის კომისიაში მის მიმართ დისციპლინური საქმის აღძვრის შემდეგ - განხილვის კოლეგიის სხდომის დღეს, რაც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებაა. ასევე, ეთიკის კომისიამ დისციპლინურ საქმეში N070/18, 2019 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ანდრონიკ სარიბეკოვის მიმართ გამოიყენა დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლის დარღვევის გამო, რაც ადვოკატმა

თავის საქმიანობაში არ გაითვალისწინა. ეთიკის კომისიის შეფასებით, ამ პირობებში, კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ვერ იქნება ქმედითი დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმა, რის გამოც, ადვოკატ ანდრონიკ სარიბეკოვის მიმართ გამოყენებული უნდა იქნას დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება, რომელიც არის მისი ქმედების პროპორციული პასუხისმგებლობის ფორმა.

6.11 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34.1(ა) მუხლით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 33-ე, 35– ე მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №106/22 ადვოკატ ანდრონიკ სარიბეკოვის მიმართ /სიითი №0611/ დადგინდეს დისციპლინური გადაცდომა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენის გზით.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /მარინე ცუცქირიძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა ნებიერიძე/